



№ 18

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ქალაქში და სსრკ-ში. მისამართი: Тифლის, Грузинский Театრ, ред. „Театри და Цховრება“ ლო. Имедашვილი

ხელ-მოწერული წერილები არ დაბეჭდვება. ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება ქართ. თეატრის კანტორაში — დღით 9-2 ს., საღამოთი 6-8 ს., ტელეფონი რედაქციისა № 7-95, სტამბისა — 15-41.

№ 18

კ ვ ი რ ა ბ ი ვ ლ ი ს ი

1914 წ.

6 ი ვ ლ ი ს ი.

დროს ნუ ვკარგავთ ხელოვნებასთან ერთად ამ ბოლო ხანებში სასცენო ტენიკაც საოცრად განვითარდა: ახალ-ახალი მოწყობილებანი, სცენაზე რომ სინამდვილეს ჰქმნიან, დეკორაციების სწრაფი ცვლა და მით ანტრაქტების შემცირება, საკმაოდ წინ წავიდა, მაგრამ ჩვენი თეატრი-კი ჯერ კიდევ თითქმის 10-20 წლის წინანდელ მდგომარეობაშია.

გაქიანურებული ანტრაქტები, გამოცხადებულ დროზე წარმოდგენების დაუწყობლობა, წარმოდგენის დროს დარბაზის ანუ ლოჟების კართა შეხლა-შემოხლა, უჯერ-მაჯერო შესვლა-გასვლა, — აი, რა აუფერულეებს ჩვენს წარმოდგენებს და შთაბეჭდილების მთლიანობას ამახინჯებს.

რამდენჯერ ყოფილა, რომ თვით პიესის ერთი მოქმედება 10—25 წუთს მეტს არ გაგრძელებულა, ხოლო ანტრაქტი-კი ნახევარ საათზედაც მეტს ხანს გაუქიანურებით ხოლმე და ამ მიზეზით იშვიათად, რომ წარმოდგენა თორმეტსა ანუ პირველ საათზე ადრე გაეთავებინოთ.

და ეს რომ დიდი საფრთხულია ჩვენი თეატრის მუდმივ მაყურებლისა, თითქო ვერც-კი შეუგვჩიოთ.

თუ თეატრს ცოცხალი, სასრიანი სელა ჰსურს, მუდმივ მაყურებელთა მდგომარეობას უნდა შეეგუოს.

ჩვენი თეატრის მაყურებელი-კი, როგორც არა ეოგზის აღგვინიშნავს, საზოგადოების დემოკრატიული ნაწილია, — საშუალო შეძლების ინტელიგენცია, წვრილვაჭარ-

მოხელენი და მოსწავლე ახალგაზდობა, — რომლისათვისაც დროს დიდი მნიშვნელობა აქვს: დილით ადრე თავის საქმეს უნდა მიხედოს და ღამის გატეხა მუდამ არ შეუძლიან ვარდა ამისა, ქალაქის განაპირა ნაწილის მცხოვრებნი სიშორისა გამო თეატრში იშვიათად დაიარებიან, რადგან, იციან წარმოდგენა დროით ვერ გათავდება, რომ ტრამვაის მიუსწრონ დი შინ ადრე დაბრუნდენ.

ყველა ამას შესაფერი და სწრაფი ანგარიში უნდა გაეწიოს, თუ გვიანდა ჩვენმა თეატრმა უფრო მიზანშეწონილად შეასრულოს თავისი დანიშნულება ე. ი. ამ თავიდანვე ღონისძიებანი იქმნეს მიღებული, რომ ანტრაქტები მინიმუმადე შემცირდეს, რათა წარმოდგენა გათავდეს არა უგვიანეს 11 საათისა (უკიდურეს შემთხვევაში 11 1/2 ს.), მტკიცედ იქმნეს დაკული წესი გამოცხადებულ დროზე წარმოდგენის დაწყებისა, ფარდის ახლის დროს დარბაზის და ლოჟების კარებები უეჭველად დაიკეტოს და სხ

ამ გვარად ჩვენ დავიზოგავთ დროს, რაც ასე ძვირფასია თანამედროვე მაყურებელისათვის: საშუალება მიეცევა თეატრში უფრო ხშირად იაროს, რაკი მეორე დღეს მოცდენის შიში აღარ ექნება და წარმოდგენითაც უფრო სრული შთაბეჭდილება განიცადოს...

დროს ასე დაზოგვა არა ნაკლებ უშეღვათებს მსახიობთაც...

თეატრის მესვეურნო, დრო ძვირად ჰლირს და უქმად ნუ დაჰკარგავთ!





მ ი ლ ო ც ე ა

(სრულიად საქართველოს სკენის მოღვაწეთა პირველ ყრილობაზე წარმოთქმული 8 ივნისს)

ბატონებო!

ნება მომეცით მოგილოცოთ მეც ეს დიდ-მნიშვნელოვანი დღეობა ჩვენის სასცნო დღე-სასწაულისა იმ დაწესებულებების მაგიერ, რომელიც შემძლებისა და მოხერხებისა გვარად ემსახურება სათეატრო ხელოვნების განვითარებას ერთ მიყრდენულ პროვინციაში.

ქართული თეატრი, როგორც ქართული მწერლობა, სხვას არას ამტკიცებ-რა, თუ არ იმას, რომ ქართველი ერის სული ძლიერია და შეუღრეკელი მიუხედეველად ათას გვარის სულის შემხუთავისა და ხელის შემშლელის გარემოებისა ჩვენი თეატრიც და მწერლობაც თვალსაჩინოდ იზრდება და წინ მიდის, და სულის სიძლიერე ქართველი ერისა კიდევ და კიდევ მაში სჩანს. ეს დამაბრკოლებელი გარემოებანი ვერ აფერხებენ მის განვითარებას... დიდ, დიდია უკვდავი შოთას მემკვიდ-

რეობა ქართველს ერში, მის გულში დაუშრეტლად ღვივის ძლიერი ცეცხლი ხელოვნებისა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ქეშმარიტად საღსა და ნათელ გზას ჩვენი კულტურის მსვლელობაში მხოლოდ მაშინ დავადგებით. თუ ჩვენი ცხოვრების განმკარგულეზებლნი ჩვენვე ვიქნებით. ამიტომაც საეპიროა, რომ ყველა, ვინც ემსახურება ხელოვნების რომელსამე დარგს, ვინც მართავს მას, ყველა ვისაც შეუღლია გაიგოს და შეიფვისოს რუსთველისაგან ნანდერძევი ბრწყინვალე ხელოვნების სიდიადე, იგი შესძლებს ყოველ ეამს, ყოველს წუთს, დღე ნიადაგ იმაზედ იღვწოდეს, იმაზედ ფიქრობდეს, ისეთ პირობებში ჩავაყენოთ ჩვენი ცხოვება, რომ მის სრულიად და საეგებით ნორმალურ განვითარებას არავინ ხელის შემშლელი არა ჰყავდეს...

იკტა აბაშიძე

პირველი სრაველი

ეტიუდი

დღეს პირველად იამ თავისი შეკუმშული მორცხვი კოკორი ვაშალა ნაზ პრტყულ-ლოყა ყვავილად; დღეს პირველად გაფურჩინილ ყვავილის კეკლუც ფოთლებმა იბანავეს დილის კამ-კამა ნამში მაგრამ გამოიღვიძა მზემ, მოჰკრა თვალი უმანკო იას, მოეხვია მას და ბევრი ჰკოცნა. ეუცხოვა გულ-ჩვილ ყვავილს მხურვალე აღერსი, არუყდა და გადმოაგდო დილის ცვარი...

ეს იყო პირველი ცრემლი სიყვარულისა.

დღეს პირველად მგლის ლეკვი გამოძვრა თავის ბუნადიდან. კბილებ-აღმასა დედა მისი სანადიროდ იყო გასული. უცხო იყო პაწიას-თვის ახლად გადაშლილი თვალ წინ ქვეყანაც, რადგან ბუნავის სახლერების ვარშე მისი გონება ვერაფერს წარმოიდგენდა; უცხო იყო სინათლეც, რადგან მისი ბინა მარად სიბნელეში იყო გახვეული; უცხონი იყენენ ჩიტუნებიც, რომლებიც წკრილაო ჰიქჰიკით თავს დასტრიალებდნენ. დღეს პირველად გამოეღვიძა მას თავის დაცვის გრძობა და, დიანახა თუ არა უცხო არსება, რომელსაც ადა-

მიანი უძახის მაჩე-ზღარბს, მაშინათვე უჩვე-ნა მას ბროლივით თეთრი კბილები და შეეტაკა მაგრამ ბრძოლის ფანდების მკოდნე ზღარბმა გამოჰკრა ახლად გამოსულ ცხოვრების ასპარეზზედ მგელს ეკალი თვალში. დღეს პირველად დაიწყებუტუნა ტყვილისაგან ლეკვა, მოერია მას თვალში ცრემლი და ცქრიალით გადმოვარდა ტუჩზედ...

ეს იყო პირველი ცრემლი ცხოვრების სიმწარისა.

დღეს პირველად ახალგაზრდა დედამ შეენიშნა თავის ერთადერთის უქეთობა. რამდენი ტანჯვა ვაება გამოიარა საცოდავმა, რამდენი დარწმუნდა, რომ უდღეოდ შობილი ბავშვი გადარჩა სიკვდილის კლანჭებს; რამდენჯერ აუკანკალდა საცოდავს გული, სანამ უდღეოდ შობილი ბავშვი მოაღონიერა და მტკიცედ დააყენა ფეხზედ. ახლაც არა უჭირს რა: მოვა ექიმი, მისცემს წამალს, და ბავშვი ისევ მოსულიერდება... აი ექიმიც მოვიდა; უსინჯავს მაჯას, ენას, თვალებში უცქერის... დედაც აქვეა. თვალს ადევნებს ექიმის სახის



„სინათლის“ „დამსამარკებელს“



დ. კელდია შვილი

მისი ავადმყოფობის გამო

გამომეტყველებას. ტყუილია იმედი: ექიმის სახე უნუგეშობის დრუბლითაა მოცული. ითმინა, ითმინა დედამ და მაინც ვერ შეიმაგრა თავი; მდლდარე ვებერთელა ცრემლი გადმოვარდა მას ლოყაზედ.

ეს იყო პირველი ცრემლი სსსოწარკვეთილებისა.

დავ. კილოსანიძე



მელიტონ კობეჩიას სსოვნას

ობოლი იყავ, უბედური
ქვეყანაზედა,
ვით მოწყვეტილი შორს ვარსკლავი
ლაჟვარდ ცაზედა!
არვინ იცოდა, სად გაგტყორჩნა
ბედის-წერამა,—
მოგისპო დღენი უნუგეშოს
ცრემლის დენამა!..
ბევრი ვეცადე, ვერ გაგიღე
ბედის კარები...
აწ მაპატიე, შემეცოლე ვარ...
გემუდარები! .

ქნ. ნინო ორბელიანი

8 ივნისი *)

ეს ლექსი დასაბუქდავით მივიღეთ 9 ივნისს, მაგრამ ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო დღემდე დავიანდა მისი დაბუქდა.

ჩვეულებად არა მაქვს ჩემს ნაწარმოებზე ლაპარაკი და პრინციპიალურადაც წინააღმდეგი ვარ ავტორისა და კრიტიკოსის შორის კამათისა. ავტორს ყოველთვის ჰგონია, რომ სწორედ ის დასწერა და ისე დასწერა, როგორც საჭირო იყო. ნაწარმოებმა თვით უნდა გასცეს პასუხი შკითხველს და კრიტიკოსს. თუ რამე სათქმელი ჰქონდა ავტორს, უნდა ეთქვა ნაწარმოებში. გარდა ამისა, მხატვრული ნაწარმოები საყოველთაო კუთვნილება არის და ყველას უფლება აქვს მას მსჯავრი დასდოს და თავისი აზრი გამოთქვას.

ბ. გრიგოლ რომბაქიძემ გამოილაშქრა, როგორც თვითონვე უთქვამს, „სინათლის“ დასასამარებლად. მე მგონია გაკიცხვა, დაგმობა თუ გნებავთ დამცირებაც ნაწარმოებისა ყველას შეუძლიან, მაგრამ „დასამარების“ შესახებ-ეი რა მოგახსენოთ! დავანებოთ ამასაც თავი. დეე, ბ რომაქიძე დარწმუნებული იყოს, რომ ანინათლესა ანდერძი აუგო. თუ კი ამით ჩვენს ლიტერატურას სამსახურს გაუწევს, დეე „ენაცვალოს“ მას „სინათლე“;—მაგრამ მის ლექციაში არის ორიოდ მხარე, რომელსაც მე, როგორც პიროვნება, ზურგს ვერ აუქცეე.

ბ. რომაქიძეს ლექცია იმით დაუწყვია, რომ იგი დიდს უხერხულობას ჰგონობს, რადგანც უნდა „დასამაროს“ კარგი მეგობრის. პიესა.—რა შუაშია, ან რა მოსატანი იყო აქ პირადი განწყობილება - არ ვიცი. მხატვრულ კრიტიკაში რა ადგილი აქვს მეგობარს, ძმას, მახლობელს? კრიტიკოსს ნაწარმოებთან აქვს საქმე და არა მის ავტორთან. თუ ბ. რომაქიძეს ჰსურდა ამ სიტყვით უფრო მეტი ფასი დაედა თავისი კრიტიკისათვის?—არა მგონია. ეს ხომ ერთგვარი დემოკრატიული ხერხი იქნებოდა და რამდენადაც ვიცნობ ბ. რომაქიძეს, იგი ამას არ იკადრებდა, და თუ მართლა უხერხულობას ჰგონობდა, მაშინ კი მე მგონია ასეთი წარმოდგენა ავტორზე სწორედ რომ კარგი მეგობრის პიროვნების დამცირება არის. ნუ თუ ოდნავი ექვიც კი შეეპარა ბ. რომაქიძეს, რომ „მისი გამანადგურებელი კრიტიკა“



კარგს მეგობარზედ ისეთ ვავლენას იქონიებდა, რომელიც მეგობარულს განწყობილებას აწებებდა? არა, ბ. გრიგოლ, მეგობრობა—მეგობრობად და კრიტიკა—კრიტიკად: ერთს მეორესთან არაფერი საერთო არა აქვს და ერთი მეორეისგან სრულიად დამოუკიდებელია.

მე არ გამოვყვიდები იმას, რომ „სინათლე“ არც „ღრამაა, არც სიმბოლიური ნაწარმოებია, არც მხატვრული, არც ზღაპარია... ერთი სიტყვით არც არაფერია, არის, თუ გნებავთ, „ალეგორია“ და უფრო კი „კინემატოგრაფია“ ან არა და ჯამბაზობა. არ შევეკამათები ამაში ბ. ლექტორს, მაგრამ ერთი მიზრძანეთ, თუ ეს ასეა, მაშ რაღად დაგვირდათ თოფ-იარაღის შესხმა, ასეთი განგაში და იერიში? განა ღირდა მშვენიერი შტევერშტეველობის და ნიქის დახურდავება მხოლოდ მისთვის, რომ რაღაც ალეგორია-ჯამბაზობა „დაგესაპარებინათ“ ეს ხომ ქარის ცისკვილებთან ბრძოლას წაავაგეს. კარგათ მოგეხსენებათ, რომ დღეს კინემატოგრაფს აუარებელი ხალხი ესწრება და, მათ შორის, ძლიერ ბევრი ქართველია. რატომ არ კითხულობთ ამის წინააღმდეგ ლექციებს?... მაგრამ ნაწარმოების ღირსება-ნაკლებულებასზედ არ შეგეკამათებით.—ეს ჩემი საქმე არ არის...

ბ. ლექტორის სიტყვით „სინათლე“ **„ეროვნულ გრძნობების გამყვენელია“**... საუბედუროდ ლექცია არ მომისმენია და ვერც რეცენზიებიდან გავიგე, როგორ ასაბუთებდა და რით ამტკიცებდა ბ. ლექტორი ამ დებულებას. მაგრამ თუ კი ეს პართლადაც ასეა, ძალა-უფლებურად კითხვა იხადება. ბ. რომაქიძესათვის ეროვნული გრძნობა უდიდეს ღირებულებას წარმოადგენს, მე დარწმუნებული ვარ ამაში. მაშ რაღად სდუმდა აქნობამდისინ ბ. რომაქიძე? როგორ, „სინათლე“ თითქმის ზედიზედ იდგმებოდა სამი თვის გამავლობაში, აუარებელი ხალხი ესწრებოდა, ამ ხნის განმავლობაში ეროვნული გრძნობა „იხრწებოდა“, „იჩრყებოდა“ და ბ. რომაქიძე, რომელსაც ერთი ლექციით შეეძლო ამის მიზეზის „აღმოფხვრა-დასამარება“,—სდუმდა?... სწორედ მოგახსენოთ დიდი ცოდვა მისთვის, ვისაც ეროვნული გრძნობა რამე ღირებულობად მიჩანია. ვარწმუნებ ბ. რომაქიძეს, რომ პი.

რაღად ეროვნული გრძნობა მასზედ არა ნაკლებ ღირებულებად მიმაჩნია და თუ კი დამიმტკიცებდნენ „სინათლის“ პარველ წარმოდგენებისთანავე, რომ იგი ეროვნულ გრძნობებს რყვის, მე ჩემისვე ხელით დავასამარებდი ამ ნაწარმოებს, ვინდ იგი გენიოსურ ნაწარმოებად მიმაჩნდეს. დიდი ბრალდება წამომიყენა ამ მხრივ ბ. რომაქიძემ არა მარტო როგორც ავტორს, არამედ როგორც პიროვნებას და ამიტომაც აღვნიშნე ლექციის ეს მხარე. მე არ ვიცი ისეთი სამსჯავრო, სადაც შეიძლებოდა ამ ბრალდების განსაჩივრება და ჩემი ამ მხრივ გასამართლება და ამიტომ იძულებული ვარ ბრალდება იმავე სამსჯავროს გადავსე, რომელიც დაასახელა თვით ბ. ლექტორმა ე. ი. ისტორიას. ვიმეორებ კითხვას: თუ კი „სინათლე“ ეროვნულ გრძნობების გამყვენელია, რატომ ბ ლექტორმა დასაწყისშივე არ მოსპო მისი ბოროტი ვავლენა? ესთქვათ ვარემოების გამო ლექციის წაკითხვა ვერ შეეძლო იმდროს მაგრამ მგონია ბ. რომაქიძეს კალამი ენაზე ნაკლებად არ უჭრის. ნუ თუ მეგობრების წერილებს ელოდა? ბ. რომაქიძე იმდენად თავისუფალი და დამოუკიდებელი მოაზრება, რომ არც ამას უნდა შეეჩერებინა. ესთქვათ ბ. შალვა ამირეჯიბი **„ზოგიერთი მიზეზის გამო“** თავის თავს ამ უფლებას მოკლებულად სთვლიდა და მხოლოდ მაშინ ამეტყველდა, როდესაც ბ. რომაქიძის „გამანადგურებელ“ იერიშის ზარი მოესმა... მაგრამ აქ ხომ „ზოგიერთი მიზეზი“ იყო... ვინ იცის, იქნებ მეგობრულ განწყობილებასაც კი ჰქონდა ადგილი. ესთქვათ ეროვნული ფრძნობის სიწმინდის დამცველნი და პატივისმცემელნი ისეთი, როგორიც არიან „ახრის“ მოაზრენი, სელმდენ და გულთხელ-დაკრფეილნი შესტკეპრდნენ ამ წმინდათა წმინდის შერყენა-გათახსირებას, ალბად აქაც თუ სხვა და სხვა მიზეზებმა იჩინეს თავი და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბ. ლექტორის მტკეპარე სიტყვა გაისმა, მაშინ... მაშინ... „კუმ ფეხი გამოყო.—მეც ნახირ—ნახირა... თქვენ, თქვენ ბ. ლექტორო, რაღა ვაბრკოლებდათ? არ მოგეტყვებათ. ის ისტორია, რომელსაც თქვენ ქაჯულად იწვევთ თქვენსა და თანამედროვე ქართველთა შორის; არ მოგიტყვებთ ამის.—

„ქვემოთ“



ა. ჩეხიძე

ა. სტონ ჩეხიძე

რუსეთის სახელგანთქმული მწერალი. მისი გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების გამო (2 ივლისს).

რ კ ა ლ ე ბ ი.

მკვდარი თუ ცოცხალი?

ჩემი საყვარელი მწერალი პეტრე ალტენბერგი ზის ყავახანაში და სვედის შუქს აფრქვევს. ღამის 9 საათი... მისი სატრფო, მისი სიკოცხლე თეატრში წავიდა და მოსვლას დაჰპირდა. მის ფეხებთან წევს ერთგული, ძალღი სატრფოსი. მასაც თავი დაუხრია, მაგრამ ძილი არ ეკარება, გამუდმებით ჰყეფს და ზუის; უცდის, უცდის მას.

ჩემი საყვარელი მწერალი ცრემლიან თვლებით მისჩერებია ელექტრონის ლამპებს, სააბს და ფიქრობს: „მოვა კი? როდის?“ ძაღლის ზუის და სწუხს საშინლად არ იცის როლის მოვა ის?

სვედის ტალღები ღამაზის მღუშარებით

ვტრკლდება მათ ირგვლივ. ნაწი მწუხარება აესებს მათ წილს და ამ მწუხარებას ეგრ მიუგნია შესაფერ სიტყვებისთვის!...

ათი... თერთმეტის ნახევარი... თერთმეტი... თორმეტის ნახევარია და ის მინც არა სჩანს. . სული მლოდნელთა იღუმალ ქვეითინებს, მაგრამ ყავახანაში მათ ასეთს მწუხარებას ვერავენ ამჩნევს და განცხრომით მიჰქრის დანარჩენთა წუთები. იზრდება, იზრდება სევდა.

..და, უცერად, ძაღლი წამოვარდება, მხიარულად, მკვირცხილად, დაჰყეფს და კმაყოფილებით კუდს გააქიცინებს. კარები თითქოს ირღვევა და იგი მუდღეურად შემოდის; ცისფერ თვალებით ჩახედავს ჩემს საყვარელს მწერალს და ღიმილით მიუალღერებს: „სული და მივივინდა... მამატიე“...და ყოველივე გაჰქრა, მოისპო მწუხარება, დარდი – მხიარულების სხივმა მოჰფინა ყველას. ძაღლი ფეხებზე თავს აყრდნობს, თვალებს ნაბავს და სიამით იზნიქება, გრაციოზულ მიმოხვრით უვლის გარს. ჩემი საყვარელი მწერალი გვერდით მიუჯდება და მოუხიხრობს თავის გ. ეს: ოქროს ღდაპრებს. ელექტრონის ლამპები ნეტარებისა და თბილ შუქს მემოფენენ და საათიც სიხალისის ხმაურობით თვლის ყოველ წუთს, წუთს ნეტარებისას, სიხარულისას...

მაგრამ ჩემს საყვარელს ალტენბერგს უცებ გაუფლევებს კითხვა, რომელიც წუთიერ მშვიდობა-ნეტარებას დაურღვევს?

იგი გრძნობს, რომ მის სულს, არსებას ამოეცალა რაღაც ძვირფასი, ფრიალ საგრძნობი ნაწილი-მის მესს მოაკლდა იგი და მწუხარებ ს სახით გადმოიშალა დაუსრულებელის ძღვევამოსილებით. ძაღლის სულსაც მოსწყდა ერთი ნაწილი და განშორდა მათ.

სად, სად მიდის?... ჰქვება თუ გროვდება ეს ნაწილი ადამიანთა სულისა? სად წავიდა მთელი ზღვა სიყვარულის სვედისა, რომელიც უხმო ტაღღებდა გარდმოდიოდა მისგან?

მკვდარია, თუ ცოცხალი ის ნაწილი, რომელიც მისგან შობილა?... სად არის იგი შვილი?

აი, მწუხარება ქვეშაირტის ხელოვანისა. ნამდვილის შემოქმედის ყოველი სტყვა ნაწილია მისი სისხლისა, ნამდვილი ხელოვანის ყოველი სევდა და ზრახვანი ნაწილია მი-



სის სულისა. და ეს სულის ნატეხი, რეალურად არ-სახული, ჩვენთვის უმნიშვნელოდ ჰქრება. დაუსრულებელ ოკეანეში იძირება ეს ყველაზედ უფრო ძვირფასი და ინტიმური შემოქმედება დიად მხატვართა. ხელოვნების მთავარი მიზანია მხატვრის შინაინტი ტრაგედიის ლამაზი გაწლა სიტყვის, ჰანგის, მარმარილოს, საღებავის საშუალებით.

სამაგიეროდ არის ტრაგედია ძლიერი და ღრმა, რომელიც ვერც ერთის ამ გზით ვერ გამოითქმის. მაგრამ არსებობდა ასეთის ტრაგედიისა ყველასათვის ექვს გარეშეა. ხომ ყოფილხართ ერთს წუთის ისეთ სევდიან ნეტარებაში, რომელიც ვერ გამოგიტყვამთ, მაგრამ მღუმარებაში გაგიშლიათ, ლამის ხეწარში გაგხვევიათ. აი, მაშინ თქვენ ხელოვანი იყავით და თქვენი სული თვის ნაწილს მიდამოში აფენდა, ტრაგედიას შლიდა დაუსრულებლად...

ხელოვანი განიცდის, რომ ამ გამოუთქმელ წუთებში იგი მთვარალია სევდის სინაზით; გაზრდილი მწუხარება მის სულს ბზარავს, და დამსხვრეულ გულის ნამტვრევები საღლაც შორს მიჰქრია.

ცხადია, აქ ძლიერია შემოქმედებითი მომენტი, რადგან მას პირდაპირ ფიზიოლოგიურად განიცდის მხატვრის ბუნება და თვის რეალურ ნაწილს, ფიზიკურ ნაკვთს თავის სულისას ხედავს ამ ტრაგედიის შლაში. ხოლო ყოველი ის, რაც თვით შემოქმედს ცოცხალს ნაწილადა სწამს, არ შეიძლება ერთის წუთითაც კი მკვდარი იყოს. ეს მღუმარებითი შემოქმედება ყველაზე უფრო განუმეორებელია, აღუბეჭდავი, უკიდურესად ინდივიდუალური ინტიმური და მაშასადამე, ქეშპირიტ მხატვრული, უღარეს ესთეტიური.

მაგრამ ეს ინტიმური და ფარული ხელოვნება, ხოლო ჩვენ ბუნებას მარტო იმის განცდა და დაფასება შეუძლია, რაც რეალურად მქლავებულა, რასაც მხატვრობა სახეებით გარდაუშლა, რაც გვსმენია და თვალთ გვიხილავს. ეს უღარესი ხელოვნება ყველა ამას მოკლებულია, მას რეალურად სახული ფორმა არა აქვს და ამიტომ, თითქმის ყველას, იგი მკვდრად მიჩნია.

ეს ხელოვნების ის სფეროა, რომლის ძე-

ლას, ყველაზე უწინ, თვით შემოქმედი განიცდის და მღუმარების წერტილებით გადასცემს მას, ვინც მისთვის ძვირფასია, მაგრამ უცნობი, ყველაზე ახლობელი, მაგრამ შორეული.

ჩვენი ბუნება იწვევს ამ მღუმარების ტრაგედიის ფორმისკენ, მის სახიერებას დაეძებს და ამით სცდილობს ეს მიუწოდომელი ნაწილი შემოქმედისა გაშალოს და არა ინტიმურად აქციოს, გამოამჟღავნოს

ჯერ ხანად ამ მღუმარების ტრაგედიას სახავს მარტოოდენ სცენა. მხატვრულ განცდათა შესაფერის მიმოხებით, მიმოკით და დეკორაციების შეხამებით გადმოცემა, აი, გზა ამ უღარეს მხატვრულ შემოქმედების გამჟღავნებისა. მაგრამ ეს გზა ყველაზე უფრო სახიფათოა ხელოვნებაში და ერთი გადამეტებული ხაზი ზას ან შარქად ან უსულო ჰანტომიზად აქცევს.

შესაძლოა, მომავალში ხელოვნებამ გარდალახოს დაბრკოლებანი და მღუმარების ტრაგედია ასახოს სისწორით.

მაშინ ჩემ საყვარელ მწერალ ალტენბერგის კითხვა - სად გროვდება ამოდენი სევდა? - ჩვენთვის ვადაპრილი გახდება, მაგრამ თვით ალტენბერგისათვის კი... ვინ იცის...

აკაკი პაპავა



ალბომისთვის

(ვაგლიჩიძის ასულს თამარს)

ვერც მე გაუძელ შენს დამწველ თვალებს: მეც დამიმიონეს გრძნეულის ძალით, გიშრის ფრთიანის ისრით დამკოდეს, სული ამინთვის ცეცხლისა აღით...

ვერც მე გაღურჩი შენს მკერდის ზღვასა და მის ორ ზვირთსა ღელვად ატეხილს, — იქ ჩემი გულიც შემოტივტივდა და გადაექლო ვნების ქარტეხილს!.. იტაცებ გრძნობას; ფიქრიც თანა გღვეს, სულს იწვევ ტანჯვის გაზაფხულისკენ, მაგრამ არ ვიცი, სათ მიგყვარ — სიკვდილისა თუ სიყვარულისკენ?

ქ. გორი

ს. ფაშალიშვილი




ქართული თეატრის ძოღვაწენა



ივ. მესხი

ბათუმის დრამატ. საზღვის გამგეობის თამებჯდომარე



ივ. პურადაშვილი

ქუთაისის დრამატული საზღვის გამგეობის წევრი-მწარმოებელი.

კომპოზიტორ დ. აზნავიძელის თსუსულებანი

(ორი პედაგოგიური კრებული)

ის დასკვნა, რომელიც ჩვენ გამოვიყვანეთ წინა წერილში (№ 16) ბ. არაყაშვილზედ, როდესაც ვარჩევდით მის რომანსებს, სრული არ იქნება, თუ ჩვენი მოსაზრება არ დაედასტურეთ კონკრეტულ მაგალითებით იმის რომანსებიდან; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ფრაზიორობას დავწვამებენ

მაგრამ ვიდრე ამას შეუდგებოდეთ, მე მსურს ამ კითხვას მხარი აუქციო და შევეხო. ჯერჯერობით კომპოზიტორის სიმღერების ორს კრებულს, შედგენილს სახალხო სკოლებისათვის

მე არ შევეხები აქ იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს მუსიკა-სიმღერას ხალხისათვის და ნამეტნავად ბავშვის ნორჩ სულისათვის. არ შევეხები იმას, რომ არც ერთი ფილოსოფოსი და მოაზრე, ძველი თუ ახალი, არ აცდენია მუსიკაზე მჯელობას და დაუყენებია იგი ჩვენს ცხოვრებაში უმაღლეს საფეხურზე. მე მხოლოდ მივაქცევდ მკითხველის ყურადღებას და აკვირდეს ჩვენს ცხოვრებას, შეიხედოს ყოველ კერძო ოჯახში, წოდებისა და მდგომარეობის განურჩევლად, და იქ დაინახავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში მუსიკა-სიმღერას. სიმღერის შესისხლბორცება ჩვენს არსებებასთან დაანახვებს ყველას, რომ მუსიკა არის უშუერთგულესი მეგობარი ყოველი არსებისა, რომელსაც მუსიკა, ვით მფარველი ანგელოსი, ფეხ და ფეხ სდევს და იზიარებს კაცის

სულისკვეთებას: ქირში უქარვებს ვარამს, ლხინში კი აღაფრთოვანებს და უადვილებს წინსვლას.

აქედან ცხადზე უცხადესია, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მუსიკას მოზარდთაობისათვის, როგორ უნდა შევჩავიოთ იგი მუსიკას და როგორ უნდა შევავაროთ იგი.

ამისათვის საჭიროა ბავშვთათვის სამუსიკო ლიტერატურა, რომელზედაც ჩვენ ჯერჯერობით მწყრალობთ ვართ. ყველა დამეთანხმება, რომ ჩვენ ბავშვთათვის სასიმღერო კრებულები არა გვაქვს. ბევრი კრებულია გამოცემული ქართულ სიმღერებისა, როგორც მაგალითად ბ. ბ. მაკავარიანისა, ჩხიკავძისა, კარგარეთელისა, ქორძისა და სხვებისა, მაგრამ თვით ამ კრებულების ავტორნი დავგეთანხმებიან და არ გვიწყენენ, თუ ვიტყვით, რომ არც ერთი კრებული არ არის სახმარებელი დაბალ სკოლებში, რადგანაც მათში სრულებით არ არის დაცული სისტემა ამ კრებულებს სულ სხვა დანიშნულება აქვთ; ისინი არიან საერთოდ კრებული საერთო სიმღერებისა და არა დამუშავებული მასალა სკოლებში სახმარებლად.

სწორედ ამ ნაკლისათვის მიუქცევია ყურადღება ნიქიერს კომპოზიტორ-პედაგოგს ბ. არაყაშვილს და შეუდგენია დაბალ სკოლებისათვის ორი კრებული. პირველი ერთხმოდან სიმღერებისაგან არის შემდგარი და გამოცემულია წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების მიერ 1905 წ. მასში არის მოთავსებული 23 სიმღერა ჩონგურის აკომპონიმენტით; ზოგი სიმღერა ორ-ხმოდანია. მეორე კრებული ორხმოდან სიმღერებისაგან არის შემდგარი, შიგა და შიგ სახმოდანსაც შეხვდებით. ეს მეორე კრებული გამოცემულია 1909 წ. ქ. მსოკოში თვით ავტორისაგან და შეიცავს 31 სიმღერას.

ორივე კრებულში სიმღერები ისეთ სისტემით არის დალაგებული, მათ შედგენში ისეთი თანდათანობა არის დაცული ადვილ და სადამოტივებიდან ძნელ და რთულზე გადასვლაში, რომ მათი შეთვისება ბავშვთათვის მასწავლებლის ხელმძღვანელობით არავითარ სიძენეს არ წარმოადგენს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი კრებული ასეთ მშვენიერ მეთოდით არის შედგენილი და ერთია თით-



ქმს ათი წლის წინად გამოცემული, მეორე ექვსისა, როგორც შარშან კომპოზიტორმა შემოგვიწვია, აქამდე 20 ცალიც არ არის გავრცელებული.

ორივე კრებული ძალიან სუფთად არის გამოცემული და იაფადაცა ღირს: პირველი 2) კ., მეორე 25 კ. ჩვენ ძალიან გვიყვარს, რომ ჩვენი დაბალი სკოლები ამ დღეპირს დროში, როდესაც ყოველი კარგი საზრისიანი გამოცემა, რა დარგსაც უნდა ეკუთვნოდეს, ჩვენთვის დიდ განძს შეადგენს, ასე უყურადღებოდა სტოვებენ ბ. არაყიშვილის საუცხ-

ვო კრებულს, რომელზედაც ავტორს უდიდესი შრომა გაუწევია. ალბად არ იციან ამ კრებულების არსებობა. თუ ეს ასეა, მაშ ვის უნდა დავდოთ ეს ბრალი მაშინ, როდესაც ჩვენი სკოლები უმასალობისა გამო ბავშვებს შეუფერებელ სიმღერებს აჩვენებენ.

საჭიროა ამ გარემოებას დიდი ყურადღება მიექცეს და ჩვენს ყველა სკოლებში ეს კრებულები შეჭანილ იქნენ.

საჭიროა სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდონ ჩვენი მოწოდება...

გ. საყვარელიკე

„აბესალომ და ეთერი“^(*)



ზ. ფალიაშვილი

ქართული ორიგინალური ოპერა ნ მოქმედებად და ს სურათად, მუსიკა ზ. პ. ფალიაშვილისა, დიბრუკო ზ. გ. მირიანაშვილისა.

(სოფეტო აღებულია ქართული ხალხური პოეზიიდან)

I მოქმედება, სურათი 1. ძველად საქართველოში სცხოვრობდა აბოა მეფე, რომელსაც ჰყავდა ვაჟი აბესალომ და ქალი მარბ ვარსკვლავი. ერთხელ მეფის ძე აბესალომი სანადიროთ წავიდა, თან ახლდა ამაღა და სხვათა შორის მურმან ვეზირი. დაბრუნულს ტყეში აბესალომი შეხვდა წყლის პირს ძინძვში გახვეულს მშვენიერს ეთერს, რომელიც დედინაცვლის ბრძანებით ძროხას აძოვებდა. აბესალომი, მისი სილამაზით დატყვევებული, ცოლად გაყოლას სთხოვს, მაგრამ ეთერი უარს ეუბნება და ტყეში იმალება. მურმანსაც შეუყვარდება ეთერი და გადასწყვეტავს, როგორმე მისი გული მოიგოს.

სურათი 2. მეფის ძე ამალით მიდის ეთერის დედინაცვლის სასოში და ჰმანავს მტირალს ეთერს, დედინაცვლისაგან შეუწუხებულს. აბესალომი მეორედ სთხოვს ეთერს ცოლად და სიყვარულის ნიშნად აჩუქებს ოქროს დანას. ეთერი დასთანხმდება და საჩუქარსაც მიიღებს.

II მოქმედება. მეფე აბოა სიხარულით ეგებება აბესალომის დაცოლიანებას და გადასცემს მას გვირგვინს. იმართბო დიდებული ქორწილი. ცეკვა და სიმღერა.

III მოქმედება. მურმანი ეთერის გაბოჯვებით შეწუხებული ტყეში დაეჭურება თავის ციხის გარემო და შეხვდება მანვე სულს ბელიარ ეშმაკს. ბელიარი

*) როგორც ამას წინად ვსწერდით, ჩვენმა კომპოზიტორმა ზ. ფალიაშვილმა დაასრულა თვისი ქართული ოპერა „აბესალომ და ეთერი“, რომელიც წარმოადგენს იქმნება შემადგომავს. აქ ვგვქვდათ ლიბრეტოს.

მურმანს შეეღას ჰპირდება და აღუთქვამს ლამაზ ეთერის მიცემას, თუ მურმანი მას დედის სულს მისცემს. დიდი ყოყმანის შემდეგ მურმანი დასთანხმდება და შექთიკავს, ბელიარ ეშმაკი კი აძლევს მაჯუნს, რის საშუალებითაც ეთერი დროებით ძალიან ავადა ჰხდება.

IV მოქმედება. სახალხო ღიღი დარბაჯი.

მეფე აბესალომი გაიგებს ეთერის ავადმყოფობას და თავის უბედურებას სტირის, სეფე ქალთ გამოკავებთ ავადმყოფი დედოფალი ეთერი, რომელიც მეფესა სთხოვს დაითხოვოს იგი, რადგან ავადმყოფობისა გამო დედოფლად აღარ უნდა იყოს. ამასვე სთხოვენ აბესალომ მისი დედა ნათელა, და მარბ ვარსკვლავი და მახლობელინი. აბესალომი ყოყმანის შემდეგ დასთანხმდება და ამაღას ჰკითხავს ვისა ჰსურს ეთერის წყევანა, ვეზირი მურმანი ამალიდან წინ წამოვა და მეფეს მოახსენებს, რომ მასხედ უკეთესს მფარველს ეთერისათვის ვერ მოსძებნიან და რომ ამისთანა პატივისათვის საუკუნოდ იქნება აბესალომის მადლობელი. აბესალომი მურმანის ასეთს საქციელს არ მოეღოს და გადასწყვეტავს დედოფალი ეთერი მას გადასცეს. მურმანს ეთერი სასახლიდან თავისთან მიჰყავს.

V მოქმედება. ეთერი ბელიარის დაპირებისამებრ მალე განკურნება. აბესალომი ეთერის დარბით ავდა ჰდება. ერთხელ მურმანის სახლის ახლოს გაივლის და გაიგებს, რომ ეთერი განკურნებულა. აბესალომი გადასწყვეტს მურმანი საომრად გაგზავნოს იმ მიზნით, რომ ის ომიად ცოცხალი აღარ დაბრუნდეს და ამნაირად ეთერი უკანვე დაიბრუნოს. მურმანი საომრად მიდის, აბესალომი ეთერს სთხოვს თავისი დედისა და დის საშუალებით აბესალომთან დაბრუნდეს. ეთერს აბესალომისადმი სიყვარული განუტუხავდებდა და ავადმყოფი აბესალომის სანახავად წავა. ეთერი ვერ უძლებს მწუხარებას მომავალევი აბესალომის დანახებულ, ამიოდებს მის ნაჩუქარ დანას, გულში დაიკრავს და ორივე ერთად კვდებიან.



სამი მგონანი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო


(კ. ბალმონტიდან)

მადი, მკაცრე! მკაცრე! მკაცრე,
 საქართველოს ნაწარმო ქალო!..
 აწამე, ნემთვის ნეტრებზეა
 ეგ შენი კონა, ბროლ-ლა-ფიქალო!..
 მზერა შე თვალთა, ცენსლებრივ მწვაფათა,
 სიამრდე მერნის, ვეფხის და შეეღას
 და სმა ცა-ქვეენის დამტუვევარი, —
 ნეტავ იცოდე, — რა რიგად გშენის!..
 დვთების სულსა ოდეს ეწვია
 წმინდა სურვილი შუენების ქმნისა; —
 მოსდრიკა ბროდი, ვითა ლერწამი,
 და გამაჭკვეთა მთა ყაზბეგისა!..
 მადლა თოვლი ძეგს და ძირს ვევიდნი
 სურნელსა ჭვეენ ტურფა ტეე-ველსა...
 გსურს დმერთი წახო? ღდი, აქ ნახე,
 ნახე თუ გაშლი არწივის ფრთებს!..
 ვითა უფსერული, მისი მწვერვალი
 ელავს, ზედ ოდნავ მოსხანს ტაძარი;
 აქ ჯადოსნობენ, აქვე კედლებზე
 სდევთა ეურანის წარწერა ანა!..
 როს ბარში სძინავთ, აქ გარეყრავს
 ეთველი ანსი გრძნობს მზის სივალსა!
 გსტქერს ყაზბეგი და მის ფათ ქვეშე
 თვით საქართველო ეძლევა ძილსა!..
 დიად, აქ სძინავს ქართველსა ერსა,
 ამაყსა, ბრგეს და სულთი ძლიერსა,
 მაგრამ ყაზბეგის მადალი ქედი
 ფხიზად სდარჯობს მოსიულ მტერსა!..
 უმგზავს, მომშხამველ გვეღას წინაშე
 სდგას ის ამაყად, ვით რისხვის ზარი...
 მაგრამ იცოდეთ, რომ ამა ქვეენად
 მტურავი გველი ორგვარი ანა!..
 ერთი წმინდაა და მეორე კა
 ქურდულად შესამავს გულშესაზარი!..
 — დეე, ნუ ჭფრავს გამეადველობს
 კონა-ამბორში გულქვა აფთარი!..

ისმინეთ უველამ, რომ საქართველო
 სტოცნობდა, სტოცნობდა და კვლავც იტოცნებს;
 აწის უმღერის არავი ველსა
 და თერგიც მასვე გასძახის ჭკლებს!..
 მსმ ამ ოცნებით სახსე მხარეში
 რისთვის მადან ბიჭურ გულით?!



თ ერთმანეთის; სიყ
 რდება.
 რჩ. როდისღა, რო
 დებდ ის ბებერი
 ? იმეგარ გუნებზე
 პირ სადილოზე წამო
 რომ ბავში ჩემია,
 აქმრის, რომ მე
 მის მამა და სხვა



- ა. შანშიაშვილი
- კ. მაყაშვილი
- ი. გრიშაშვილი



რასთვის შესაძლებელია მის, რაც სავსეა ტრფობათ, აღერით და სიუჟურულით?! ტაძარს შემსივლელი, შედა კრძალვითა, ზნდღილად მოეზარ მის შეგნებასა, თორემ ცეცხლს გავჭრას მშვენიერება და შეეურები ჭინს და სნებას!.. ისინათ ზემო! დიდას დიდას მიუყუეთ მარად... ნუ გტკობთ ისა,

რომ ესღა: თოვლით შემოსილია და სოფელის მწვერალი ვახუშტის მთისა... დეე იტადეს; ვის:ც-იო თავში მტირთადენი კვლავ შერხა ჭკუას; რომ ვახუშტის მთამ გრვენივს და ჭკუა იტას.. თვის კლდეთ და ნაზრდათ შესა!..

ბ. ახოსპირელი

„იასონის ოინებო“

(დასასრული. იხ. ,,ი. და ც. ,, № 13 - 17).

ქეთევ. (განსე) ეს უბედური სრული დარწმუნებულია, რომ ვაჟი ამისია. (აღმას-ხანს) ვინ მოვიდა, გვედით, ნახოთ, თვარა სირცხვილია,--შენც აქ წამოხვედი და მეც. **ალმას** ჩემო მარგალიტო, კი ნუ გეწყინება და ნამეტანს ნუ უთამამდები არჩილს. ხომ იცი, ჭორიანი კუთხეა მინც ათას რასმე გვიგონებენ.

ქეთევ (ცოტა გუფმოსუღა) მერე შენ რას აუცილებარ ჭორებს? ქვეყანას ლაგამს ვინ ამოდებს! ვისაც რა უნდა, ისა თქვას,--შენ რა? (შუა კარშია გადახან ორივე სტენა რამდენიმე ხანს ცარიელა: მარჯვენა კარდან შემოდან ბაჭია და ექვთიმე)

ბიჭია. ღმერთი დიდია, ვენაცვალე იმის სახელს, თვარა რაღა დროს ამისი შვილი იყო, ცალი ვუხი სამარეში უდგია.

ქეთვ. მზარეული მოუციდა და რა ენაღვლება რა!

ბიჭია. მეც კი მოვკარი ყური კილოკავათ რიადის, მარა არა მჯერა.

ქეთვ. რა არა გჯერა, შე კიი კაცო, ვენახში მაგათ მოასწერს და ყანაში, - მაგის ცოლს და არჩილს ბარდიქს.

ბიჭია. სწორედ არ არის კიი საქმე შენ-მა მზემ.

ქეთვ. ახია ამაზე რაც მოგივა დავითაო, ისევ შენი თავითაო. კაცი დაბერდა, ზაგის ხნის ქვა აღარ არი ჩვენში და რაღა დროს მაგისი ცოლი იყო, მერე ისიც ახალგაზრდა ქალი! ქალმაც ვეღარ მოითმინა და თავისი შესაფერისი გამოჩახა! ასე გახლავს ეს ამბავი!

ბიჭია. ამ მამა ცხონებულს, თუ მინცა-და მინც არ მოიშლიდა ცოლს შეერთავდა,

უნდა ამოერჩია თავისი შესაფერი, ხანში შესული დაიბახსელი ქალი.

ქეთვ. ქე ვურჩიეთ, მარა არ დაგვიჯერა, არა. იმისთანა ქალი მინდა რო შვილი ეყოლოსო, და მოიყვანა, რომ რძე გადმოღის პირზე.

ბიჭია. ამა არჩილის არის ვაჟი, ჰა!

ქეთვ. არჩილის ნამდვილი.

ბიჭია. კიი საქვა სწორეთ! არჩილმა ვაჟები შექმნას და ამან კი ნათლობა იხადოს, ჰა! ჩვენ კიდევ ვიქვიფოთ ელიც მეფესა სთხოვს რომ ხოლმე ნათლობაში! ოფობისა გამო დედა

ქეთვ. ასე არც ჩვენ, სთხოვენ ანახლომ ანობას სხვის ბაღში, ჰა, ქარსკვლი და მახლო

ბიჭია. ეპ, მე აღარა მდებ დასთანმდება და ნი კი არ ვიცი, ჩემო ექვთიმე ვის წყევანა, ვესირი შემოვა აღმასხანა და ორავ; და მეფეს მოახსენებს; იქეთრისათვის ვერ მოს-

ალმას. ოო, ბიჭი ისათვის საუკუნოდ იქ ვახლოვარ. ბაღკონზე ჯესალაში მურმანის ასე იქ უფრო სტაროვა. (ღასაწყვეტავს დედიფა-შე სტენა ცალაქობა მარჯვენა კარებიდან შე-მოაფუნ არჩილი და ქეთევანი. არჩილი მიხვს მოასუღავს, მოახუგავს ქეთევანს და გუღმა ივრავს)

ქეთევ. (ცოტა თვის განთავისუფლებს) დაგინახავს ვინმე არჩილ!

არჩილი. რას დავებებ? მეტი მოთმინება მე აღარ შემძლია. ხანდახან ისეთ გუნებაზე ვარ, რომ ლამის შენ ბებერ ქმარს ხანჯალი ჩავსცე მუცელში და ჩავამილო.

ქეთევ. ამა ის რას გიშლის, არჩილ, შენ გენაცვალე! მე და შენ ხომ მინც ერთმანერთს ვეკუთვით.

არჩ. ყველაფერს სამზღვარი აქვს რომ ბეზრდა ჩემო სულიკო, ჩემო მარგალიტო



ახალგაზდა მგოსანი ს. ფაშალიშვილი

ქიზიყში სალიტერატურო საღამოებს მართავს.

ნიადავს სიყვარულის მალვა, — მეც აღადმიან ივარ

ქეთევ: ცოტა კიდევ მოითმინე, ჩემო სიცოცხლე, ის ბებერია, დიდხანს მაინც ველარ იცოცხლებს და მაშინ მე და შენ ველარავინ დაავაშორებს. მაშინ აშკარათ, საჯაროთ ვიქნებით ერთმანეთის; სიყვარულის მალვა აღარ დაგვიტრდება.

არჩ. როდისღა, როდისღა მერე? როდის ჩაძაღვდება ის ბებერი და ჩამოგვშორდება გზიდან? იმგვარ გუნებაზე ვარ. რომ დღეს პირდაპირ სადილზე წამოვდგები და გამოვაცხადებ, რომ ბავში ჩემია, ჩემი და არა შენი ბებერი ქმრის, რომ მე ვარ, მხოლოდ მე შეენი ბავშვის მამა და სხვა არავინ.

